

מִזְרָחָה תְּבִיבָה  
צְדָקָה וְצַדְקָה

# תְּבוּבָה מִזְרָחָה צְדָקָה



“ორ-ავნერი საქართველოში” - საგანმანათლებლო ქსელი  
დირექტორი რაბი მეირ კოზლოვსკი

თბილისი 2012 (5772)

## **Dear readers!**

In the book “The Torah tells me“, we will read about the creation, our forefathers; Abraham, Isaac and Jacob, the alliance between G-D and the Jewish nation and about the birth of the twelve tribes of Israel.

We will conclude this volume with reading about Joseph becoming the viceroy of Pharaoh, save Egypt from the 7 years of hunger and got back to his brothers.

The Torah is not only a book with nice stories, Torah it's a lesson for life. The word “Torah” in Hebrew means direction, G-d gave us the Torah to direct us through our life.

It is significant that we will read the Torah and I wish you to be able to read the Torah in the original language, Hebrew. Meanwhile, I'm happy to present to you the “The Torah tells me” in Georgian with lovely illustrations.

\*\*\*\*\*

I would like to thank **“The Rothschild Foundation EU”** for their financial support.

Particular thanks to the team that without them this book would not be published:  
**Mrs. Marina Baazov, Mrs. Tzippora Kozlovsky, Mrs. Svetlana Chachanashvili, Mrs. Sara Feinstein, Mrs. Salome Filpan, Rabbi Ben-Zion Israelshvili, Mr. Aharon Janashvili, Mr. Menachem Kozlovsky and the Illustrator Mrs. Devorah Kozlovsky (dmkozo@gmail.com).**

Using this opportunity, I would like to pass my grateful thanks to the **“Or Avner foundation”**, **“The Leviov Foundation”**, and last but not least to **Mr. Michael Mirilashvili** for their ongoing support of the “Or Avner Jewish Day school” in Tbilisi.

Yours,  
Rabbi Meir Kozlovsky

ძირითადი ბაზები!


იქით, მომძროი ნუვნის ჩერხოვის ყველასხი ძირითადი რა მნიშვნელოვანი?! რა თქმას უნდა "თორის". მომძროს რმელობას ჩერხ გვსასწავლა. ყველას გვრცელება, როგორ თუ პატარისძ. უნდა შეიხება უკროტებ რა შეიუწიოს ეს ნუვნის-ნუვნი.

კადასხი ნხესერებით იროვეც მომიტობები ნუვნი "თორის მომიტობები მე" ვაძლოვა. რათა პატარისძ იხება უკროტებ რა შეიუწიოს გვრცელო ნერხის ას-ცოლის. ცოლის უკროტები რა ვალით. როგორ შეიქმნა ნამასტი.

მხოლოდ ის, კინ ჯერ ამ იქის ყოთხუა. იროვეც უკროტების რათა უკროტების ბეჭედი ნებისმიერების ნახუა.

ჯიმეროუნებით, როგორები ვასტერებით. ნუმნებას "თორის" ნუვნის უკუ რეგასნები შედრობით.

ბაზები. ვისუმეუნები ნუმდეცებები! ჩერხ მცირება გუჭირის. რომ ნამასტი მუგდოვა ისრისებების. რაგა გან იჭვება. ბაზები ყოველოვის იხება უკროტებ თორის.



ခရာမျိုးမြတ်

5

ဒါနပို

39

ပြည့်လွန်

14

ဒါနပိုလွန်

44

ကျော်-ကျော်

26

ဒါနပိုဒု

48

ဒါနပို

29

ခေါ်ပို

53

နာဂါ အောင်

32

ဒါနပို

58

တော်လွှဲလွှဲ

34

ဒါနပို

62

# მეტეშით

მოდით მიმოვისედოთ ჩვენს ირგვლივ. მართლაც ხომ გასაოცარი სილამაზისაა ჩვენი სამყარო? ცისფერი ცა, მოკაშკაშე მზე, მოჭიკჭიკე ჩიტუნები... ამაყად დაგვცექერიან ცამდე აწვდილი ხეები. მინდვრები დაფარულია საოცარი ყვავილებით, რომლებსაც ლამაზი და ნაზად მოფარფატე პეპლები დასტრიალებენ თავს. უღრან ტყეებში უამრავი ცხოველი ბინადრობს, ხოლო უზარმაზარი ზღვები და ოკეანეები გვაოცებენ ულამაზესი წყალქვეშა ბუნებითა და იქ მობინადრე ათასგვარი თევზებით, ზღვის ცხოველებით, წყალმცენარეებით... და კიდევ ვინ მოთვლის იმ უამრავ საოცრებას, რომელსაც ყოველ წუთს აღტაცებაში მოვყავართ.

გაინტერესებთ, საიდან გაჩნდა ეს ყველაფერი? გინდათ იცოდეთ ვინ შექმნა ეს ლამაზი და თვალუწვდენელი სამყარო?

ალბათ, უკვე მიხვდით... დიას ეს ყველაფერი ღმ-რთმა შექმნა და გვიბობა ჩვენ, ადამიანებს, რათა შევძლოთ თორისა და მიცვების დაცვა და შესრულება. ამისათვის ჩვენ ყველა ვეუბნებით ღმ-რთს მადლობას.

კი მაგრამ, რა არის თორა? ან რა არის მიცვები? ან რატომ უნდა დავიცვათ ან შევასრულოთ ისინი? ან როგორ შექმნა ღმ-რთმა ეს ყველაფერი?

უკეთ რომ გავიგოთ ყოველივე ეს, მოდით დავიწყოთ ყველაფერი თავიდან და შევიტყოთ, როგორ ქმნიდა ღმ-რთი სამყაროს ექვსი დღის განმავლობაში.

სანამ ღმ-რთი სამყაროს შექმნიდა, იყო სიცარიელე.


პირველ დღეს ღმერთმა შექმნა სინათლე.  
მან თქვა: „და იყოს სინათლე“ და  
იქმნა ნათელი.  
ამავე დღეს ღმ-რთმა დამეც შექმნა.

მეორე დღეს ლმერთმა შექმნა წყალი.  
ხოლო მისი ნაწილი მაღლა აიტანა ბრძანებით:  
„წყალო, წყალო, ამოდი მაღლა!" და მას დაარქვა  
ცის თაღი.

რა შექმნა დმერთმა მესამე დღეს? მესამე დღეს დმერთმა დაბლა დარჩენილ წყალს უბრძანა ერთ ადგილას მოეყარა თავი. ასეც მოხდა, გაჩნდა ზღვები და ოკეანეები, მდინარეები და ტბები. ხოლო ზღვებისა და ოკეანეების ნაპირზე გამოჩნდა ხმელეთი-მიწა, რაზეც აღმოცენდნენ ლამაზი მწვანე მდელოები, მინდვრები, ყვავილები, სხვადასხვა ნაყოფით დახუნძლული ხეები.



მეოთხე დღეს ლმ-რთმა ორი უზარმაზარი ბურთის მაგვარი მნათობი შექმნა: მზე და მთვარე, რომლებსაც მორიგეობით უნდა გაენათებინათ სამყარო დღისით და ლამით. თავდაპირველად მზეცა და მთვარეც ერთი ზომისა იყო, მაგრამ მთვარეს არ მოეწონა, რომ იგი მზეზე დიდი არ იყო და ეშმაკობას მიმართა. მან უთხრა ლმ-რთს: „არ შეიძლება ორი მნათობი ერთნაირი ზომის იყოს“. ლმ-რთი მიხვდა მთვარის ეშმაკობას და უპასუხა: - “თუ ასეა, მზე იგივე ზომის დარჩება, შენ კი შედარებით პატარა გახდები.“ მთვარე მიხვდა თავის შეცდომას და ძლიერ დაფონდა, მაგრამ რადას გააწყობდა, იძულებული გახდა დამორჩილებოდა საკუთარ ბედს. დაინახა ლმ-რთმა, რომ მთვარე განიცდიდა დაშვებულ შეცდომას, მოწყენილი იყო და გადაწყვიტა მისი გამხიარულება. მან მთვარეს საჩუქრად უამრავი ვარსკვლავი უბოძა. მას შემდეგ მთვარე ანათებს ლამით და გვერდს მომდინარი ვარსკვლავები უმშვენებენ.



მესუთე დღეს ლმ-რომა შექმნა ზღვაში მობი-  
ნადრე თევზები და წყლის სხვა ცხოველები.  
ამავე დღეს ლმ-რომა ყველა სახის ფრინველ-  
იც შექმნა: მოჭიკვიკე ჩიტუნები, მოფარფატე  
პეპლები, ფარშევანგები,  
არწივები, ყველა სახის  
მწერები, ხოჭოები,  
ბუზები, ჭიამაიები და მრავალი სხვა.

იცით, რა შექმნა ლმ-რთმა მეექვსე დღეს?  
ვინ ჰყეფს ასე: ავ, ავ, ავ? სწორია - ძალლი, მურია.

ვინ იძახის მიაუ-ს? - ფისუნია. ვინ  
იძახის მუ...უ-ს? - რა თქმა უნდა, ხბო.  
და ამგვარად, ამ დღეს ლმერთმა ყველა -  
ნაირი სახის ცხოველი შექმნა: პირუტყვი,  
შინაური და გარეული ცხოველები, ქვე -  
წარმავლები და უამრავი სხვა.

და აი, ყველაფერი მზად იყო ადამიანის  
მოვლინებისათვის. შეხედა ლმ-რთმა მის  
მიერ შექმნილ ულამაზეს სამყაროს და  
ადამიანის შექმნა გადაწყვიტა.



შექმნა ღმ-რთმა პირველი ადამიანი და  
მას ადამი დაარქვა. შეხედა, რომ ადამი  
მოწყენილი დადიოდა, რადგან ყველა არ-  
სებას ჰყავდა თავისი მეწყვილე და გა-  
დაწყვიტა ადამისთვის შექმნა ქალი,  
რომელსაც დაარქვა ხავა. უთხრა ადამს  
ღმერთმა: „ადამ, შენ ყველაზე ჭკვიანი და  
გონიერი ხარ! შენ დაარქვი ყველა ცხოვ-  
ელსა თუ ფრინველს სახელი“. მან შეას-  
რულა ღმერთის ნება და ყველა ცხოველ-  
სა და ფრინველს შესაფერისი სახელიც  
შეურჩია: ლომს - ლომი დაარქვა, დათვს  
- დათვი, ცხენს-ცხენი, არწივს-არწივი და  
ასე შემდეგ.

ექვსი დღის განმავლობაში ღმ-რთმა შე-  
ქმნა სამყარო და ყოველი სულიერი თუ  
უსულო.

ხოლო მეშვიდე დღეს მან დაისვენა. ეს დღე იყო შაბათი. ამიტომაც შაბათობით ჩვენც ვისვენებთ: არ ვმუშაობთ, არ ვხატავთ, არ ვქარგავთ, დაკეტილია საბავშვო ბალები. მამიკონები დადიან სალოცავში და იქიდან დაბრუნებულები მთელი ოჯახით უსხდებიან შაბათის სუფრას, აკურთხებენ ლვინით „კიდუშს“, მღერიან შაბათის სიმღერებს და მხიარულად ატარებენ დროს.

ასე დაასრულა გამჩენმა სამყაროს შექმნა და თქვა, რომ ეს ყველაფერი ძალიან კარგია.



# ნთახ

ქვეყანაზე ცხოვრობდა ერთი ალალმართალი კაცი, რომელსაც სახელად ნოასი ერქვა. მას ჰყავდა ცოლი და სამი ვაჟი: შემი, ხამი და იაფეტი.

ნოასი მორწმუნე და ლვთ-ის მოშიში ადამიანი იყო. მას სწამდა ღმ-რთის და ამიტომაც მხოლოდ კეთილ საქმეებს სჩადიოდა. იგი მუდამ მზად იყო დახმარება გაეწია გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანისათვის და ამისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდა. იგი ხშირად ეხმარებოდა გაჭირვებულებს და ყველანაირ დახმარებას - ცდაკას უხვად გასცემდა. ასევე იქცეოდნენ მისი ოჯახის წევრებიც. ამიტომ ღმ-რთს ნოასი ყველასაგან გამორჩეულად უყვარდა. სხვა ადამიანები, რომლებიც ნოასის მეზობლად ცხოვრობდნენ, ძალიან ბოროტები იყვნენ. მათ არც ღმ-რთის სწამდათ და არც არაფრის ეშინოდათ, თვითონაც იპარავდნენ და თავიანთ შვილებსაც ქურდობას ასწავლიდნენ.

ღმ-რთს უნდოდა, რომ ეს ბოროტი ადამიანები გამოსწორებულიყვნენ და კეთილ საქმეებს დაბრუნებოდნენ. დრო გადიოდა და ღმ-რთი ხედავდა, რომ ეს ადამიანები არ იცვლებოდნენ. გადაწყვიტა ღმერთმა, მათთვის ჭკუა ესწავლებინა. გამოეცხადა ღმ-რთი ნოასს და უთხრა:

— “მე ყველა ცუდ ადამიანს დავსჯი. წამოვა დიდი წვიმა, წარდვნა, რომელიც წალეკავს სახლებსა და ხეებს, და ყველა დამნაშავე სიკვდილით დაისჯება. შენ კი ნოას, ააშენე დიდი და მაგარი კიდობანი, შენი ოჯახით შედი შიგ და ნურაფრის შეგეშინდებათ. მე დაგიცავთ ცუდისაგან.”

ნოასმა დაიწყო კიდობნის შენება. მოაგროვა უამრავი ხე და დიდი ხნის განმავლობაში დაუღალავად აშენებდა კიდობანს. როდესაც მეზობლებმა დაინახეს, რომ ნოასი რაღაცას საქმიანობს, ჰკითხეს მას: - „ნოას, რას აშენებ?”

— კიდობანს, — უპასუხა ნოასმა.  
— კიდობანს?! კი მაგრამ რისთვის?  
— ღმ-რთმა მითხა, დიდი წვიმა წამოვა და ბოროტი ადამიანები ვერ გადარჩებიანო, - უპასუხა ნოასმა მეზობლებს.  
— ხა, ხა, ხა!.. — დასცინეს მეზობლებმა. მათ ხომ ღმ-რთის არ სწამდათ და არც ნოასს დაუჯერეს. ნოასმა კი კიდობნის შენება გააგრძელა. მრავალი ღამეც გაათენა მუშაობაში და ბევრი ოფლიც დაღვარა. როგორც იქნა, ნოასმა შეასრულა ღმ-რთის ნება და კიდობანიც მზად იყო.




ღმ-რთის დავალებით ნოახმა კიდობანში პირუტყვი და ყველა სახის ცხოველი მოათავსა. დედა-დათვი და მამა-დათვი, დედა-ჟირაფი და მამა-ჟირაფი, დედა-ლომი და მამა-ლომი. ასევე ძროხები, ხარები, თხები, ცხვრები და სხვადასხვა სახის ფრინველებიც შეიყვანა კიდობანში.

შემდეგ ნოახმა კიდობანში ცოლ-შვილი განათავსა და ყველაზე ბოლოს თვითონ შევიდა და კარიც ჩაკეტა. როდესაც ბოროტმა მეზობლებმა ეს ყველაფერი დაინახეს, კიდობნის დამტვრევა გადაწყვიტეს. აიღეს ხელში, რაც მოხვდათ - ზოგმა ნაჯახი, ზოგმა

თოსი და კიდობნის კარის შემტვრევა განიზრახეს. მაგრამ, გახსოვთ რას დაჰპირდა ღმ-რთი ნოახს? - რომ დაიცავდა მას ცუდისაგან, და ამიტომ კიდობნის დასაცავად ლომები, დათვები და ლეოპარდები გამოუშვა.

ვინც კი შეეცდებოდა კიდობანთან მიახლოებას, მტაცებელი ცხოველები უღრენდნენ მას, კბენდნენ ურჩ ადამიანებს და კიდობანთან ახლოს მისვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

ამ დროს წვიმაც დაიწყო. ის ნელ-ნელა ძლიერდებოდა. წყალმა წვიმის სახით არა მარტო ციდან, არამედ მიწიდანაც დაიწყო ამოსვლა. წყალი ნელ-ნელა ფარავდა ყვავილებით მორთულ ლამაზ მინდოო-ველებს, ხეებს, ბაღებს და ეზოებს. წალეპა სახლები, პირუტყვი, ცხოველებიც წყალში აღმოჩნდნენ. მოზღვავებულმა წყალმა მთებიც კი დაფარა, სახლებიც შთანთქა. წყალდიდობის გამო დაიღუპნენ ადამიანებიც, რომლებსაც ღმ-რთი არ სწამდათ და ბოროტებას სჩადიოდნენ. აბობოქრებულ წყალში მხოლოდ ნოახის კიდობანი დაცურავდა.

An illustration of Noah's Ark, a large wooden vessel with a brown roof and white walls, sailing through turbulent blue and green waves. Rain is falling from the sky above. The Ark has two large arched doors and several windows with blue frames. The background shows more stormy clouds.


ნოახი კიდობანშიც აგრძელებდა კეთილი საქმის კეთებას. იგი დაუდალავად შრომობდა, რომ იქ მყოფი ცხოველები მშივრები არ დარჩენილიყვნენ, თავის დროზე მიეღო ყოველ მათგანს საკვები. ცხოველებზე ზრუნვაც ხომ კეთილი საქმეა?! ამიტომაც ნოახი ყვალანაირად ზრუნავდა მათზე. და ასე გრძელდებოდა ერთი წელი.



როდესაც შეწყდა თავსხმა წვიმა და მიწაც დაშრა, გამოვიდა ნოახი კიდობნიდან, ხელები აღმართა ზემოთ და ღმ-რთს მადლობა შესწირა გადარჩენისათვის.

დაინახა ღმ-რთმა, რომ მის მიერ შექმნილი ლამაზი და მშვენიერი სამყარო წარდგვნამ ააოხრა. აღარც სახლები მოჩანდა, არც ლამაზი ყვავილებით მორთული მდელოები, არც ულრანი ტყეები, არც ცხოველები და აღარც ადამიანები. გადარჩა

მხოლოდ ნოახი თავისი ოჯახით და ის ცხოველები, რომლებიც ნოახთან ერთად კიდობანში იმყოფებოდნენ.



ღმ-რთმა შეხედა დანგრეულ და დაცარიელებულ სამყაროს და თქვა: „არასდროს აღარ იქნება დედამიწაზე წარდგვნა! ”

რა ბედი ეწევათ ურწმუნო და ბოროტ ადამიანებს, თუ ისინი ღმ-რთს არ იწამებენ და გააგრძელებენ ცუდი საქმეების კეთებას? იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები არ ირწმუნებენ ღმ-რთს, ღმ-რთი მოავლენს ცაზე ფერად და ლამაზ ცისარტყელას. ადამიანებს შეახსენებს წარდგვნის შესახებ და ისინიც დაუბრუნდებიან სწორ გზას, მიხვდებიან, რომ უნდა იწამონ ღმ-რთი და იცხოვონ მხოლოდ სიკეთის ქმნისათვის.

ერთ მთვარიან დამეს ულამაზეს ადგილას, დაიბადა პატარა ბიჭი, რომელსაც მამამ - ტერეხმა, აბრაამი დაარქვა. როდესაც მას სამი წელი შეუსრულდა, ყურადღებით მიმოიხედა ირგვლივ და რა დაინახა? ხეები, მიწა, ყვავილები, ლამაზი ცა და ვარსკვლავები, მზე და მთვარე.

პატარა აბრაამმა იკითხა:

— ვინ შექმნა ეს ყველაფერი?

— როგორ, არ იცი? — უპასუხეს გაკვირვებით. ეს ყველაფერი ქანდაკებამ შექმნა.

— შეუძლებელია! — იფიქრა აბრაამმა. ქანდაკება ხომ ხისგან ან ქვისგან გაკეთებული თოჯინაა. მას არ შეუძლია სიარული, ლაპარაკი, ჭამა და არც სხვა რამის გაკეთება. იქნებ ეს მზეა? ის ხომ ასეთი დიდი და კაშკაშაა, თანაც ზემოდან დაჟყურებს დედამიწას.

აბრაამი ლოცულობდა მზეზე. როდესაც დაღამდა, დაინახა აბრაამმა, რომ მზე მიიმალა და მის ნაცვლად მთვარე და ვარსკვლავები გამოჩნდნენ.

— არა! — იფიქრა აბრაამმა, — მზეს არ შეუქმნია სამყარო. ის, ვინც სამყარო შექმნა, დამით არ დაიმალება. იქნებ, მთვარეა ყველაფრის შემქნელი, ვარსკვლავები კი მისი მსახურები არიან? — იფიქრა აბრაამმა. მაგრამ მზის ამოსვლისთანავე მთვარე გაქრა.

— არა, არც მთვარის შექმნილია ეს ყველაფერი! — გაიფიქრა აბრაამმა. ბოლოს მიხვდა იგი: „დმერთია ცაში, მან შექმნა ყველაფერი და მეც მათ შორის”.





აბრაამის მამას, თერანს, ჰელონდა მაღაზია. თერანი ყიდდა დიდი და პატარა ზომის ქანდაკებებს. ზოგი ქვისაგან იყო გაკეთებული, ზოგი ხისაგან. ერთხელ თერანმა დაუძახა აბრაამს და სთხოვა:

— მოდი შვილო, ჩემს მაღაზიაში დადექი და გაყიდე ქანდაკებები.

თერანი წავიდა და ქანდაკებების გასაყიდად აბრაამი დატოვა. მაღაზიაში შემოვიდა მოხუცი ქალი კალათით ხელში, რომელშიც ჯერ კიდევ თბილი და სურნელოვანი საჭმელი ეწყო.

— მე საჭმელი მოვუტანე ქანდაკებებს, — უთხრა ქალმა აბრაამს.

— ო! ქალბატონო, ეს ქანდაკება მხოლოდ თოჯინაა. მას არც ჭამა შეუძლია, არც ლაპარაკი, არც სიარული და არც სხვა რამის გაკეთება, — უპასუხა აბრაამმა.

— მაშ ეს ყველაფერი ვინ გააკეთა? ვინ შექმნა სამყარო? — იკითხა ქალმა.

— ღმ-რომა! მან შექმნა სამყარო და ყველაფერი, რაც კი არ-სებობს! ღმ-რთი მართავს სამყაროს, ის გვასაზრდოებს და მას ჩვენგან მხოლოდ კეთილი საქმეების გაკეთება და მისი მცნებების შესრულება სურს! — უპასუხა აბრაამმა.

მოისმინა მოხუცმა ქალმა აბრაამის ნათქვამი და გზას გაუდგა.

მაღაზიაში შემოვიდა მოხუცი კაცი.

— მე მსურს ვიყიდო ქანდაკება, რომელიც დამიცავს ყველანაირი საფრთხისაგან, — უთხრა მოხუცმა აბრაამს.

— რა მოუვიდა შენს ქანდაკებას? — ჰკითხა აბრაამმა.

— ამ ლამით შემოვიდნენ ქურდები და მომპარეს იგი, — უპასუხა მოხუცმა.

— თუ ქანდაკებას ქურდებისაგან თავის დაცვა არ შეუძლია, შენ როგორდა დაგიცავს? ქანდაკება ხომ მხოლოდ თოჯინაა, მას არავის დაცვა არ შეუძლია. მას ხომ ლაპარაკიც არ ძალუძს, — მიმართა აბრაამმა.

უამრავი ადამიანი შედიოდა მაღაზიაში ქანდაკების საყიდლად და ყველას უხსნიდა აბრაამი, რომ ქანდაკება მხოლოდ თოჯინაა. მას არ შეუძლია არაფრის კეთება და რომ ყველაფერი ღმ-რთის შექმნილია.

ხალხი უსმენდა აბრაამს. ისინი ხვდებოდნენ, რომ იგი მართალს ამბობდა და ადარ ჰქონდათ ქანდაკების ყიდვის სურვილი.




— მაშ ვინ გააკეთა ეს ყველაფერი, ვინ შექმნა სამყარო? — ჰკითხა მოხუცმა აბრაამს.

— ღმ-რთმა! მან შექმნა სამყარო და ყველაფერი, რაც კი არსებობს. ღმ-რთი გვასაზრდოებს და გვიცავს ყველაფერი ცუდისაგან! — უპასუხა აბრაამმა.

მოისმინა მოხუცმა აბრაამის ნათქვამი და თავის გზას გაუდგა.





აიღო აბრაამმა ჩაქუჩი და დალეწა ყველა პატარა ქანდაკება. მაღაზიაში მხოლოდ ერთი დიდი ქანდაკებადა დატოვა. მას ამოუდო ხელქვეშ ჩაქუჩი და დაელოდა მამის მოსვლას.

როდესაც აბრაამის მამა დაბრუნდა და დაინახა, რომ არ-ცერთი ქანდაკება მთელი აღარ იყო, მიუბრუნდა აბრაამს და ჰქითხა:

— რატომ არ გაუფრთხილდი ქანდაკებებს? ვინ დაამსხვრია ისინი?

— დიდი ქანდაკება გაუბრაზდა პატარა ქანდაკებებს და დაამსხვრია ისინი. აი, ჩაქუჩი მის ხელშია,— უპასუხა აბრაამმა.

თერახი გაბრაზდა და უთხრა აბრაამს:

— შეუძლებელია დიდ ქანდაკებას პატარა ქანდაკებები დაემსხვრია, მას ხომ განძრევაც არ ძალუდს!

— თუ ასეა, მაშინ რატომ ამბობ, რომ ქანდაკებამ შექმნა ეს სამყარო და ყველაფერი ამ ქვეყანაზე?! — უპასუხა აბრაამმა.

თერახი მივიდა მეფე ნიმროდთან და უამბო მას აბრაამისა და ქანდაკებების შესახებ. მეფე ძლიერ გაბრაზდა.

— მე სასტიკად დავსჯი აბრაამს! — თქვა მან და ბრძანა, სასწრაფოდ მოემზადებინათ დიდი კოცონი და ჩაეგდოთ შიგ აბრაამი.

ვინ იცის, რა მოხდა?





მეფე ნიმროდის ქვეშევრდომებმა დაანთეს დიდი ცეცხლი და გავარვარებულ კოცონში ჩააგდეს აბრაამი. მაგრამ ღმ-რთს უყვარდა ალალმართალი აბრაამი და სასწაული მოახდინა. ცეცხლი განელდა და აბრაამი ისე სეირნობდა მასში, როგორც ლამაზ ბაღნარში.

ამის დანახვაზე ნიმროდს და ყველა იქ მყოფ ადამიანს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდათ: "ეს როგორ? ასეთ გავარვარებულ ცეცხლში აბრაამი უვნებლად დასეირნობს?!"

ამის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ცაში ღმ-რთია, მან შექმნა სამყარო და ყველაფერი, რაც კი არსებობს! ღმ-რთი მართავს სამყაროს. ის გვასაზრდოებს და მას ჩვენგან მხოლოდ კეთილი საქმეების კეთება და მისი მცნებების შესრულება სურს. მას ამიტომაც უყვარს ალალმართალი აბრაამი, და ამიტომაც დაიცვა იგი ცეცხლისაგან.

# ლეს ლეზა

ამ დიდი სასწაულის შემდეგ ღმ-რთმა უხმო აბრაამს და უთხრა:

— აბრაამ, წადი ნარანიდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გეტყვი!.. აბრაამმა არ იცოდა, რომელ ქვეყანაში სურდა ღმ-რთს მისი გაგზავნა. მას უბრალოდ სჯეროდა ღმ-რთის, მზად იყო მისი ნებისმიერი სურვილი შე-ესრულებინა და ამიტომაც დაუყოვნებლივ გაუდგა გზას.



უამრავი ადამიანი გაჟყვა აბრაამს და მის მეუღლე - სარას. ეს ის ხალხი იყო, ვისაც აბრაამმა ასწავლა, რომ ღმ-რთმა შექმნა სამყარო და ყველაფერი, რაც კი არსებობს. ღმ-რთი მართავს სამყაროს, ის გვასაზრდოებს და გვიცავს ბოროტისაგან. მას ჩვენგან მხოლოდ კეთილი საქმეების ქმნა და მისი მცნებების შესრულება სურს! უნდა სწამდეთ ღმ-რთისა და არა კერპების...

ბევრი იარეს თუ ცოტა, ღმ-რთმა ისინი წმინდა მიწაზე - ქენაანში მიიყვანა.

გავიდა დრო. ქენაანში დიდი ხნის განმავლობაში წვიმა არ მოსულა. ამიტომ მოსავალი არ მოდიოდა, არც საჭმელი იყო და არც სასმელი. ქენაანში მძიმე შიმშილი მძვინვარებდა.

შიმშილისაგან თავის დასაღწევად აბრაამი იძულებული გახდა თავის ოჯახთან ერთად ეგვიპტეში წასულიყო.

ეგვიპტეში მეფობდა ბოროტი ფარაონი. მან თავიდანვე აითვალისწუნა აბრაამი, რომელიც არ ეთაყვანებოდა არანაირ კერპებს და არც არაქაშერ საკვებს მიირთმევდა. ერთხელ ფარაონმა გაანაწყენა აბრაამი. იმავე დამით, როდესაც ფარაონმა დაიძინა, მოვიდა ღმ-რთის გამოგზანილი ანგელოზი, დასაჯა ფარაონი და საშინელი სნეულებები შეჰყარა მას. მეორე დილით, როდესაც ფარაონმა გაიღვიძა, აბრაამს დაუძახა და უთხრა:

— ბოდიშს გიხდი, რომ გაწყენინე. გთხოვ, მაპატიე და სთხოვე ღმ-რთს მომაშოროს ეს სნეულებები და დამთავრდეს ჩემი ტანჯვა. მე დაგასაჩუქრებ აქლემებით, ცხვრის ფარებით, აურაცხელი ქონებით, ოდონდ გთხოვ, გაემგზავრე ეგვიპტიდან!..

ამის შემდეგ აბრაამი და სარა დაბრუნდნენ ქენაანის მიწაზე აურაცხელი ქონებითა და სიმდიდრით. ასე აუსრულა ღმ-რთმა აბრაამს ერთერთი დანაპირები, რომელიც ხარანიდან წამოსვლისას მისცა.

ერთ მშვენიერ ლამეს მოიხმო დმ-რომა აბრაამი და უთხრა:  
— გამოდი კარავიდან! შეხედე ცას და ვარსკვლავებს! მე  
მოგცემ იმდენ შვილსა და შვილიშვილს, რამდენი ვარსკვლა-  
ვიცაა ცაზე. შენგან წამოვა ებრაელი ერი და ყველა იქნება  
აბრაამის შთამომავალი!

ბავშვებო, თქვენ შეძლებთ ცაში ვარსკვლავების დათვ-  
ლას? რა თქმა უნდა, არა! ეს შეუძლებელია. როგორც ცაში  
ვარსკვლავების დათვლაა შეუძლებელი, ასევე შეუძლებელია  
ებრაელთა დათვლა.



## ჭარბა

უდაბნო ის ადგილია, სადაც მზე განსაკუთრებულად აც-ხუნებს. იქ არც ხეა, რაც ჩრდილი, არც დასასვენებელი ადგილი და არც წყალი. სწორედ ასეთ ადგილას დაიდეს ბინა აბრაამმა და სარამ.





ერთხელ სტუმართმოყვარე აპრაამი შეუძლოდ იყო. დმ-რთს უნდოდა მიეცა მისთვის მოსვენების საშუალება. მზე უფრო მცხუნვარე და კაშკაშა გახადა. ადამიანებს გარეთ გამოსვლის სურვილი აღარ ჰქონდათ. ამიტომაც აპრაამთან სტუმარი - მგზავრი აღარ მოდიოდა.



აბრაამი ამის გამო დაღონ-  
და, იჯდა კარვის  
წინ და მგზავრის გამო-  
ჩენას ელოდა. დაინახა დმ-  
რთმა აბრაამის მოწყენილი სახე  
და მას, ადამიანის სახით სამი ანგელოზი გამოუგ-  
ზავნა. სტუმრების დანახვით აბრაამმა ძალიან გაიხარა.  
სიხარულით შეიპატიჟა ისინი, გაუმასპინძლდა მათ,  
წყალიც დაალევინა და საჭმელიც მიართვა.

ანგელოზებმა გამოჯამრთელება უსურვეს აბრაამს და წასვ-  
ლის წინ უთხრეს, რომ დმ-რთი მომავალ წელს მას შვილს მის-  
ცემდა, რომლისთვისაც იცხაკი უნდა დაერქმია.

ამის გაგონებამ აბრაამი და სარა ძალიან გაახარა. ისინი უკვე  
მოხუცებულები იყვნენ, შვილი კი არ ჰყავდათ.


ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ანგელოზების დაპირებისა-  
მებრ, მართლაც სასწაული მოხდა. ხალხი სიხარულით ამცნობ-  
და ერთმანეთს: „აბრაამს და სარას შვილი შეეძინათ! ” დიდი  
სიხარული იყო ქვეყანაზე! აბრაამის და სარას სიხარულს საზღ-  
ვარი არ ჰქონდა. მათი ოცნება ახდა და დმ-რთმა მათ პატარა ვაჟი  
მისცა. მას იცხაკი დაარქვეს. აბრაამმა დიდი წვეულება გამართა.  
დაპატიჟა ყველა, ვინც მის გარშემო ცხოვრობდა. წვეულებაზე  
უამრავი ხალხი მოვიდა. ყველას უნდოდა ენახა ახალშობილი,  
რომელიც სიბერეში შეეძინათ აბრაამსა და სარას.

„რა ლამაზი და საყვარელი ბავშვია, როგორ ჰგავს თავის  
მამას! ” – ამბობდა ყველა. მოილხინა ხალხმა აბრაამთან და  
სარასთან ერთად. „მათი სიკეთისა და სიწმინდის გამო დმ-რთმა  
ისინი დიდი საოცრებით დაასაჩუქრა”, – ამბობდა ხალხი. სტუმ-  
რებმა დალიეს ლვინო, იმდერეს, იცეკვეს და კარგადაც იმხიარ-  
ულეს.

# სავი სარბა

გავიდა დრო, პატარა იცხაკი გაიზარდა. კეთილი და პატიოსანი იცხაკი თორას გულმოდგინედ სწავლობდა. ერთ დღეს აბრაამმა დაიბარა თავისი მსახური ელიეზერი და უთხრა:  
—იცხაკი უკვე დიდია და დროა მისთვის  
საცოლე შევარჩიოთ.





მაგრამ გახსოვდეს მისი საცოლე არ უნდა იყოს ქენაანელი. მათ არ უყვართ ერთმანეთის დახმარება, სიკეთის ქმნა. იცხაკის მეუღლე კი სიკეთით გამირჩეული ადამიანი უნდა იყოს. ამიტომ წადი ხარანში და იქ მოძებნე იცხა- კისთვის შესაფერისი საცოლე!..

ელიეზერმა ათი აქლემი შეკაზმა ძვირფასი საჩუქრებით, და გაუდგა შორეულ გზას.

გზა ისრაელიდან ხარანამდე მეტად გრძელი იყო. ლმ-რომა სასწაულით შეუმოკლა ელიეზერს დიდი გზა და იგი იმავე დღეს ჩავიდა. გზაში ელიეზერი ლოცულობდა და ლმ-როს ევედრებოდა დახმარებოდა მას იცხაკისათვის საკადრისი საცოლის მოძებნაში.

ხარანთან მიახლოებისას ელიეზერმა ჭა დაინახა. ხალხი მოდიოდა და დოქებს წყლით ავსებდა. უცებ ჭასთან გოგონა გამოჩნდა. გოგონას დანახვაზე ელიეზერი მიხვდა, რომ სწორედ ეს გოგონაა ის კეთილი და კარგი ადამიანი, რომელიც იცხაკს შეეფერებოდა. მას სახელად რივკა ერქვა.

— რივკა, თუ შეიძლება დამალევინე წყალი, — მიმართა მას ელიეზერმა.

— რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დაგალევინებო წყალს თქვენც და თქვენს აქლემებსაც. გეტყობათ შორიდან მოდინართ და აქლემებიც მოწყურებული იქნებიან, — უპასუხა რივკამ და ყველას ჩამოუსხა წყალი. ელიეზერმა დაინახა რივკას სიკეთე და დარწმუნდა, რომ სწორედ რივკა შეეფერება იცხაკს საცოლედ და დაასაჩუქრა იგი. მერე მივიდა რივკას მშობლებთან, მოუთხრო მათ ვინც იყო იგი და რისთვისაც იყო მოსული: ნებართვა ითხოვა მათგან წაეყვანა რივკა იცხაკისთვის საცოლედ. ელიეზერის წინადადება რივკამაც დიდი სიხარულით მიიღო და დათანხმდა იცხაკის ცოლი გამხდარიყო.

# თადლიდთა



მრავალი წლის განმავლობაში იცხაკს და რიგეას შვილი არ უჩნდებოდათ. ისინი უშვილობას ძლიერ განიცდიდნენ და ღმრთს შესთხოვდნენ, რომ მათი ლოცვა შეესმინა და შვილი მიეცა. ღმ-რთმა ისმინა მათი ლოცვა და ბედნიერ მშობლებს ტყუპები შეეძინათ. იცხაკმა და რიგეამ ძალიან გაიხარეს ორი ბავშვის დაბადებით. ბავშვები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. პირველს, მთელი ტანი წითელი ბეწვით ჰქონდა დაფარული. მას ეისავი დაარქვეს.

მეორე ძალიან ლამაზი და  
საყვარელი იყო. მას დაბადებისას  
ეისავის ქუსლზე ჰქონდა ხელი  
ჩაჭიდებული. ებრაულად “ეკებ”  
ქუსლს ნიშნავს, ამიტომაც მას იაკო-  
ბი დაარქვეს. იცხაკი და რივკა ბედნი-  
ერები იყვნენ და ღმ-რთს მადლობას  
უხდიდნენ მათი გაჩენისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაბადებიდანვე  
ბავშვები ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანე-  
თისაგან. როდესაც წამოიზარდნენ, ეს განსხვა-  
ვება კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა. ისინი  
განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან  
არა მხოლოდ გარეგნობით, არამედ სასიათითაც.  
ეისავი ბოროტი და უზრდებელი იყო. თორის  
სწავლა არ უყვარდა. უფროსებს პატივს არ სცემდა. მთელი დღე  
მინდორში ან ტყეში დაეხეტებოდა და ნადირობას უნდებოდა.  
იაკობი განსხვავდებოდა ეისავისაგან. იგი კეთი-  
ლი და ბეჯითი ბავშვი იყო. უყვარდა თორის სწავლა და  
კეთილი საქმეების კეთება. დედ-მამას პატივისცემით  
ეპყრობოდა და ზრდილობიანიც იყო.

ბავშვებო, თქვენ ვის გინდათ ჰგავდეთ – ეისავს თუ იაკობს?  
რა თქმა უნდა, ყველას გინდათ ჰგავდეთ კეთილსა და გონიერ  
იაკობს!

იცხაკი ძალიან განიცდიდა ესავის ასეთ ქცევებს  
და იმედი ჰქონდა, რომ ის გამოსწორდებოდა. ამიტომ  
მას უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა.



ერთხელ იცხაკმა დაუძახა თავის უფროს შვილს - ეისავს და უთხრა:

- შვილო, მე უპე დავბერდი, თვალთ დამაკლდა, აღარც ძალა მერჩის. წადი, მომიმზადე გემრიელი კერძი და შენ გაკურთხებ ჩემს მემკვიდრედ.
- რიგამ მოისმინა იცხაკის საუბარი ეისავთან და გაიფიქრა:
- იცხაკის კურთხევას იაკობი იმსახურებს და არა ეისავი. იაკობი თორის მოყვარული, კეთილი და ზრდილობიანია.



რივერამ სასწარაფოდ მოამზადა იცხაკის საყვარელი სადილი, დაუძახა იაკობს და უთხრა:

— შვილო, წაუღე ეს საჭმელი მამაშენს და მისგან კურთხევა მიიღე.


იაკობიც ასე მოიქცა. მიუტანა იაკობმა იცხაკს სადილი და დაბალ ხმაზე უთხრა:

— მამა, კერძი მოგიტანე, მიირთვი.

იცხაკს ძალიან ესიამოვნა ასეთი ზრდილობიანი მიმართვა. მას ეგონა, რომ ეს ეისავი იყო, იფიქრა, რომ იგი გამოსწორების გზას დაადგა და სადილის შემდეგ სიხარულით აკურთხა. გამოვიდა თუ არა იაკობი მამის ოთახიდან, ბოროტი ეისავიც მობრუნდა სადილით, შევიდა იცხაკთან ეთანა და შესვლისთანავე უხეში ხმით მიმართა მამას:

— ადექი, საჭმელი მოგიტანე! ჭამე და მაკურთხე!..

იცხაკი მაშინვე მიხვდა, რომ ვინც აკურთხა, ის იაკობი იყო, ამჯერად კი მის წინაშე ეისავი იდგა. იცხაკი ამჯერად უკვე დარწმუნდა:



ესავის გამოსწორება არ იქნებოდა. გაუხარდა, რომ კურთხევა ლირსეულმა მიიღო, ამიტომ ეისავს მკაცრი ხმით უპასუხა:

— შენზე წინ შენი მმა, იაკობი იყო ჩემთან. სადილიც მომიტანა და კურთხევაც მას მივეცი. ის არის ლირსეული და კურთხევაც მას ეკუთვნის!.. ხელმურედ კურთხევა კი არ შეიძლება...

ძალიან გაბრაზდა ეისავი იაკობზე, ოომელმაც კურთხევა მი-  
იღო და განიზრახა შური ეძია მასზე. მან გადაწყვიტა ხელსაყ-  
რელი დრო შეერჩია და იაკობი მოეკლა. მისი ზრახვები



რიგპამ შეიტყო და იაკობს ურჩია სას-  
წრაფოდ გასცლოდა იქაურობას. იაკობი  
დიდ პატივს სცემდა მშობლებს და მათ  
დარიგებას მუდამ ასრულებდა. ამიტომ  
ისიც სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

## ჭარბი

იაკობმა დატოვა მამის სახლი და შორეულ ხარანს მიაშურა, რათა ბოროტ ეისავს გასცლოდა. დიდი გზა არ ჰქონდა გავლილი, რომ შემოაღამდა და ძილიც მოერია. ლვთისმოშიშმა იაკობმა ჯერ ილოცა და შემდეგ დასაძინებლად გაემზადა. მაგრამ სად უნდა დაეძინა იაკობს? ბევრი არ უფიქრია, გადაწყვიტა იქვე, მიწაზე დაეძინა, ბალიშად კი ქვები გამოეყენებინა. უცებ ქვებმა კამათი დაიწყეს. ოვითეულ მათგანს სურდა, რომ იაკობს სწორედ ის აერჩია, თავი სწორედ მასზე დაედო, რადგანაც ასეთი ადამიანისათვის მომსახურება დიდ პატივად მიაჩნდათ. ღმ-რთმა ეს რომ დაინახა, სასწაული მოახდინა და ყველა ქვა ერთ დიდ ლოდად აქცია. კეთილმა იაკობმა მშვიდად დადო თავი ლოდზე და დაიძინა. იაკობს საოცარი სიზმარი ესიზმრა: ხედავს უშველებელ, მაღალ კიბეს, მიწიდან ცამდე აზიდულს. კიბეზე კი ანგელოზები ადიან და ჩამოდიან. უცებ ღმ-რთის ხმა შემოესმა:

— ეს ისრაელის მიწაა. მე დაგასაჩუქრებ შენ ბევრი შვილით, და შენი შთამომავალი ებრაელი ერი, გამრავლდება ისე, როგორც ეს ქვიშა. ისე გაგამრავლებ, რომ დათვლა ვერავინ შეძლოს. მე დაგიცავ შენ ესავისაგან, ვისგანაც შენ გამოიქეცი და დაგიცავ ასევე ბოროტი ლავანისაგან, ვისკენაც შენ გაგიწევია!..

როდესაც იაკობს გამოედვიძა, მიხვდა, რომ ეს ადგილი წმიდაა, რადგან აქ ღმ-რთი გამოეცხადა. იგი შეწუხდა ამ წმინდა ადგილას რომ დაეძინა. რაღას იზამდა, “მოდე ანი” თქვა, ღმ-რთს მადლობა გადაუხადა და გააგრძელა გზა ხარანისაკენ, სადაც მისი ბიძა - ლავანი ცხოვრობდა.

ხარანში შესვლისთანავე იაკობმა დაინახა ჭა, რომელზეც დიდი ქვა იდო. ჭის გარშემო მწყემსები ისხდნენ. იქვე ცხვრის დიდი ფარაც იდგა.

— რატომ სხედხართ აქ? — მიმართა მათ იაკობმა, — რატომ ზის საქონელი? ჯერ ხომ არ მოსალამოვებულა? მიეცით ოხებს და ცხვრებს წყალი და გაუშვით საძოვარზე.

— ჩვენ არ შეგვიძლია ამ მძიმე ქის დაძვრა ადგილიდან. ამიტომაც ველოდებით დანარჩენ მწყემსებს, რომ მძიმე ქვა მოვაშოროთ ჭას, — უპასუხეს მწყემსებმა.

— თქვენ იცნობთ ჩემს ბიძა ლავანს? — ჰკითხა მათ იაკობმა.

— დიახ, ვიცნობთ, — მიუგეს მწყემსებმა, — აი მისი მშვენიერი ქალიშვილი რახელიც აქეთ მოემართება. ისიც მწყემსავს საქონელს, ვინაიდან ლავანს ვაჟები არა ჰყავს.

დაინახა თუ არა იაკობმა საქონელთან ერთად ჭისკენ მომავალი რახელი, მივიდა ჭასთან და ერთი ხელის მოსმით გადააგორა უშველებელი ქვა.

იაკობი რახელს გაეცნო და მოუყვა, რომ ის მამამისის დის, რივების შვილი იყო. რახელმა სასწრაფოდ შეატყობინა თავის მამას იაკობის მოსვლის ამბავი. ლავანი გამოიქცა თავის დის-შვილთან შესახვედრად და თან ფიქრობდა: „შეიძლება ფული ჩამომიტანა ფუთით?“ მაგრამ იაკობს ხელში არაფერი ჰქონდა. მოეხვია ლავანი იაკობს და ჯიბეები გაუსინჯა: „იქნებ იაკობი ჯიბეში სამკაულებს მალავს“! მაგრამ იაკობს ჯიბეებიც ცარი-ელი ჰქონდა. კოცნიდა ლავანი იაკობს და ფიქრობდა: „შეიძლება პირში მალავს ძვირფას თვლებსო“. მაგრამ არც პირში არ ჰქონდა იაკობს დამალული არაფერი. ეწყინა ბოროტ ლავანს, რომ იაკო-ბმა არ ჩამოუტანა საჩუქრები და მიმართა მას:



— ჩვენ ახლობლები ვართ და ამიტომ ნებას გრთავ იცხოვოთ ჩემს სახლში და მწყემსო ჩემი საქონელი.

ასე განვლო ექვსმა წელიწადმა. ერთგულად ემსახურა იაკობი ლავანს. ყოველდღე გაჲყავდა მას საქონელი საძოვარზე და მზარუნველობას

— შვიდ წელს ვიმუშავებ შენთან, შენ კი ცოლად მომეცი შენი ასული რახელი, — უთხოა იაკობმა და ლავანიც დათანხმდა.

დათქმული დროის გასვლის შემდეგ იაკობმა ლავანს რახელის ხელი სთხოვა. მოიწვია ლავანმა ხარანის მცხოვრენი, დიდი ქორწილიც გამართა და ყველამ კარგადაც მოილხინა. მაგრამ ლავანს თავისი საიდუმლო ჰქონდა. რახელს ჰყავდა უფროსი და ლეა. ლავანს ლეას გათხოვება სურდა იაკობზე. შეღამდა თუ არა, ისე რომ არავის დაენახა, ლავანმა შეუცვალა იაკობს დედოფალი და რახელის ნაცვლად ლეა დაუსვა გვერდით.

რახელი იმდენად კეთილი და მორიდებული იყო, რომ ხმაც არ ამოუდია. მან არ უამბო იაკობს, რომ მისმა მამამ, ლავანმა, ლეა შერთო ცოლად, მიუხედავად იმისა, რომ რახელს სურდა იაკობის ცოლობა, მაგრამ თავისი უფროსი და მაინც არ გათქვა.

მხოლოდ დილით დაინახა იაკობმა, რომ ლავანმა მოატყუა იგი და რახელის ნაცვლად ლეა შერთო ცოლად. იაკობი დაპირდა რახელს, რომ მაინც შეირთავდა მას ცოლად, თუნდაც კიდევ შვილი წელი ემუშავა ლავანთან და ასეც მოიქცა. კიდევ შვილი წელი ემსახურა იაკობი ლავანს და ბოლოს რახელი შეირთო ცოლად.

თერთმეტი ვაჟი შეეძინა იაკობს ხარანში: რუბენი, შიმონი, ლევი, იუდა, ისახარი, ზუველუნი, დანი, ნაფტალი, გადი, აშერი და იოსები. ბენიამინი გაჩნდა ხარანიდან ისრაელში დაბრუნების დროს.

ოცი წელი ემსახურა იაკობი ლავანს და ამ ხნის განმავლობაში ლავანმა ბევრჯერ მოატყუა იგი. ერთხელაც ღმ-რთმა უთხრა იაკობს:

— დატოვე ეს ქვეყანა და დაბრუნდი ისრაელში!..

იაკობმა კარგად იცოდა, რომ ლავანი ამაში ხელს შეუშლიდა, ამიტომ ელოდებოდა ხელსაყრელ დროს. ერთ დღეს, როდესაც ლავანი გაემგზავრა შორეულ ქალაქში, იაკობმა სასწრაფოდ შეკრიბა თავისი ოჯახი, კუთვნილი საქონელი და ისრაელის გზას დაადგა.

სამი დღის შემდეგ ლავანი დაბრუნდა სახლში და რას ხელავს?! იაკობი თავისი ოჯახით გაქცეულა ხარანიდან. ძალიან გაბრაზდა და გადაწყვიტა დადევნებოდა მათ. იაკობი თავისი ოჯახით, პატარა ბავშვებით და საქონლით ნელა მიიწევდა წინ. ლავანს კი არაფერი უშლიდა ხელს, ამიტომ სწრაფად იარა და თითქმის დაეწია კიდეც. გახსოვთ, ხარანიდან მომავალ იაკობს როგორ უცაბედად შემოაღამდა?! ლავანსაც ასევე შემოაღამდა და მილიც მოერია. დამის გასათევად მიწოლილ ლავანს მილში ღმ-რთი გამოეცხადა:

— გაფრთხილდი ლავან, იაკობს არაფერი დაუშავო!..

შეშინებულ ლავანს გამოელვიდა. მან გზა გააგრძელა და როდესაც დაეწია იაკობს, ჰკითხა:

— რატომ გაიქეცი ჩემი სახლიდან? მე ძალიან გავიტაზდი, გამოგედევნე, რომ დამესაჯე, მაგრამ დამით ღმ-რთი გამომეცხადა და გამაფრთხილა, რომ არაფერი დამეშავებინა შენთვის.

დაემშვიდობა ლავანი თავის ქალიშვილებს ლეას, რახელს, თავის შვილიშვილებს და უკან დაბრუნდა.

# ჭადშლახი

ბავშვებო, ალბათ გახსოვთ, რომ იაკობი ისრაელისაკენ გამოეშურა. მას კარგად ახსოვდა, რომ ეისავს იაკობის მოკვლა ჰქონდა განზრახული. იგი ფიქრობდა: „ვაი თუ, ეისავს გაბრაზებამ არ გაუარა და ჩემი მოკვლა ისევ სურს?“. იაკობს ეისავის არ ეშინოდა, რადგანაც მას დმ-რთის იმედი ჰქონდა. თუმცა ფიქრობდა, რომ თუ ეისავი მაინც მოინდომებდა საკუთარი ზრახვების ასრულებას, იაკობს მასთან შებრძოლება მოუხდებოდა. მას კი ეს არ სურდა, რათა ძმისთვის არაფერი ევნო. იაკობმა ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა დმ-რთს შევეღრებოდა, ეისავთან მშვიდობა დაემყარებინა. ამისათვის მან წინ ანგელოზები გაგზავნა, რათა გაეგოთ, თუ რას აპირებდა ეისავი. უკან მობრუნებულმა ანგელოზებმა იაკობს შეატყობინეს, რომ მისი ძმა შეიარაღებული ხალხით მოემართებოდა მისკენ. იაკობი იძულებული იყო ომი-სათვის მომზადება დაეწყო, მაგრამ იფიქრა: იქნებ დირს მშვიდობიანი გზა მოვძებნო... მას სჯეროდა, რომ კეთილი მოქცევით ბოროტი ეისავის გულის მოგებას შეძლებდა და გადაწყვიტა მისთვის დიდძალი საჩუქრები გაეგზავნა. დაუძახა თავის მწყემსებს, მისცა მათ საქონელი, ცალ-ცალკე გაუშვა ისინი და ყოველ მათგანს დააბარა:

— თუ ეისავი შეგხვდათ და გკითხათ, ვისია ეს საქონელი და საჩუქრები, უთხარით, რომ მე ვუგზავნი მას ამ ყველაფერს და მეც მოვდივარ მასთან შესახვედრად.

იაკობის მწყემსს გზაზე სიბრაზისაგან გაწითლებული ეისავი შემოხვდა. იგი უამრავ ხალხთან ერთად იყო წამოსული იაკობთან საომრად. ეისავმა შორიდან დაინახა მომავალი კაცი.

იფიქრა, ეს ალბათ იაკობიაო. როდესაც მიუახლოვდა და დაინახა უამრავი საქონელი, გაუკვირდა და იკითხა:

— ვისია ეს საქონელი და რატომ მოგყავს ასე შორ გზაზე?  
მწყემსმა უპასუხა:

— ეს იაკობისაა. ის შენ გიგზავნის ამ ყველაფერს საჩუქრად და მალე თვითონაც შეგხვდებაო.

იგივე მიუგეს დანარჩენმა მწყემსებმაც. მიუხედავად ამდენი საჩუქრისა, ეისავს მაინც არ უნდოდა იაკობთან შერიგება და განაგრძო გზა საომრად.

ამ დროს დაღამდა კიდეც. იაკობმა ილოცა და დასაძინებლად გაემზადა. უცებ მასთან ვიღაც კაცი მივიდა და დაეჭიდა.







ეს კაცი ეისავის ანგელოზი ყოფილა. მასაც ეისავივით იაკობის მოქვლა უნდოდა. ანგელოზმა და იაკობმა გათენებამდე იბრძოლეს. ანგელოზმა იაკობს ვერაფერი ავნო და ბოლოს ბარძაყის ძარღვი დაუზიანა და იაკობმა კოჭლობა დაიწყო.

გათენებისას ანგელოზი თავის ადგილზე უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ იაკობმა არ გაუშვა:

— “სანამ არ დამლოცავ არსად გაგიშვებ!” — უთხრა მან.

ანგელოზსაც სხვა რა დარჩენოდა.

— “რადგან ანგელოზს შეებრძოლე და მან ვერაფერი ვერ დაგაკლო, ამიტომ შენი სახელი ისრაელი იქნება” — უთხრა ანგელოზმა და თან დალოცა.

როდესაც კარგად გათენდა და მზემაც თავისი თბილი სხივები მოჰყინა არემარეს, იაკობს დაზიანებული ძარღვიც მოურჩა და აღარ კოჭლობდა.

მალე ეისავიც თავის ამალასთან ერთად მოუახლოვდა იაკობს. მის დანახვაზე ეისავი ცოტა შეშინდა კიდეც. მან გაიფიქრა: “თუ იაკობს ანგელოზმა ვერ სძლია, მე მითუმეტეს ვერაფერს დავაკლებ. სჯობს მასთან მშვიდობით ვიყო.” იგი გადაეხვია იაკობს, აკოცა, შემდეგ იაკობის ცოლ-შვილსაც მოეხვია და თბილად მოიკითხა ისინი.

— ახლა წავიდეთ ერთად! — უთხრა ეისავმა.

იაკობს არ სურდა ეისავთან ერთად სიარული, რადგანაც არ უნდოდა, რომ მის შვილებს ეისავის ყოფაქცევისთვის ეცქირათ და მისგან ცუდი და ბოროტი საქციელი გადაედოთ. ამიტომ უთხრა ეისავს:

— “შენ და შენი ხალხი ძლიერები ხართ და სწრაფად სიარული შეგიძლიათ. მე კი ჩემს პატარა ბავშვებთან ერთად ნელა ვივლი. ამიტომ სჯობს, თითოეულმა ჩვენგანმა თავისი გზით იაროს.” ეისავი დაეთანხმა მმას, გამოეყო იაკობს და გაუდგა სახლისაკენ მიმავალ გზას.

## ჭარშე

იაკობს გამორჩეულად უყვარდა იოსები და თორასაც განსა-  
კუთრებულად ასწავლიდა. ერთხელ განსხვავებულად ლამაზი,  
ზოლებით გაწყობილი პერანგიც კი აჩუქა.

ერთ დილას იოსები მმებთან მივიდა და თავისი სიზმარი  
მოუყვა:

— “ძვირფასო ძმებო, ყველანი დამესიზმრეთ. ვიდექით ერთად  
მდელოზე და პურის თავთავებს ძნებად ვკრავდით. უცებ დადგა  
ჩემი ძნა შუაში, და თქვენი ძნები თავს უხრიდნენ მას.”

რამოდენიმე დღის შემდეგ იოსებმა კვლავ უამბო  
ძმებს სხვა სიზმრის შესახებ, სადაც მზე,  
მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი ქედს  
უხრიდნენ მას.


მმებს ეს არ მოეწონათ და ცოტა არ იყოს, გაპრაზდნენ კიდეც: “ნუთუ მას სურს, რომ მეფე გახდეს და მმებმა მის წინაშე ქედი მოვიხაროთ?” მათ ეს იოსების ბავშვურ ფანტაზიაზ ჩათვალეს და გადაწყვიტეს ხელსაყრელ დროს მისთვის ჭკუა ესწავლებინათ.

იაკობს უამრავი საქონელი ჰყავდა. მმებს ყოველ დილით სამოვარზე გაჟყავდათ, აჭმევდნენ და უვლიდნენ საქონელს. ერთ დღეს მმებმა ჩვეულებისამებრ ცხვარი საძოვარზე გაიყვანეს. უკან მობრუნება შეაგვიანდათ. იაკობი ძალიან შეწუხდა და იოსებს დაუძახა. სთხოვა, მიეკითხა მმებისთვის და მათი უავიანების მიზეზი გაეგო. იოსებმა იცოდა, რომ დედის და მამის თხოვნა აუცილებლად უნდა შეესრულებინა. ეს მისთვის დიდი პატივი და მადლი იყო. იგი მმების მოსაძებნად წავიდა. როდესაც მმებმა შორიდან დაინახეს იოსები, იფიქრეს, რომ ეს ხელსაყრელი დრო იყო, იოსებისათვის ჭკუის სასწავლებლად და გადაწყვიტეს, იქვე, შორიახლოს მდებარე ორმოში ჩაეგდოთ. მათ იფიქრეს, შეეშინდება და მიხვდება, რომ უფროს მმებზე გამეფების სურვილი, არც თუ ისე კარგია.

ასეც მოიქცნენ. როდესაც სახლში დაბრუნების დრო დადგა და ორმოსთან მივიდნენ, რათა იოსები ამოეყვანათ და თან წაეყვანათ, ის იქ უკვე აღარ იყო. მმები ძალიან დაღონდნენ და აღარ იცოდნენ რა ეფიქრათ: “იქნებ მტაცებელმა ცხოველმა შეჭამა, ეს ხომ ჩვენი ბრალია. ორმოში კი ჩავაგდეთ, მაგრამ ყურადღებაც ხომ უნდა მიგვეგცია მისთვის, რომ არაფერი დაშავებოდა. ის ხომ ჩვენი ძმაა. ჩვენ ხომ მხოლოდ ჭკუა გვინდოდა გვესწავლებინა მისთვის.”

ბევრი ეძებეს იოსები ბოლოს შეიტყვეს, რომ თურმე იშმაელიანების ქარავანს ჩამოუვლია. მათ ამოუყვანიათ იოსები ორმოსთან და მონად ეგვიპტეში წაუყვანიათ. რადას იზამდნენ? იოსებს უკან ვეღარ მოაბრუნებდნენ.

— მამას რა ვუთხრათ? ამ დარდს ვერ გაუძლებს?! — იფიქრეს მმებმა და გადაწყვიტეს მამისათვის დაემალათ მომხდარი.



იშმაელელებმა იოსები ეგვიპტეში. იაკობი ძალიან დააღონა იოსების გაუჩინარებამ. იშმაელელებმა ეგვიპტეში ჩასვლისთანავე იოსები ფარაონის მინისტრს – ფოტიფარს მიჰყიდეს. იოსები მასთან სახლშიც მუშაობდა და ბალშიც. ფოტიფარმა დაინახა, რომ იოსები თავის სამუშაოს პირნათლად ასრულებდა. სახლისათვის კარგ სანოვაგეს ყიდულობდა, საოცრად ლამაზად ააყვავა სახლის ბალიც. ფოტიფარი მისვადა, რომ იოსები ბრძენი და ქეთილი ადამიანი იყო და ღმ-რთი მას ყველაფერში ეხმარებოდა. იგი ჭატრვს სცემდა იოსებს და კარგადაც ექცეოდა. ფოტიფარს აგრ ცოლი ჰყავდა. მას არ უყვარდა პატიოსანი იოსები და ერთხელ უთხრა თავის ქმარს:

— “იოსები მე არ მიჯერებს, პრობლემებს მიქმნის, მოაშორე ეგებრაელი, ადარ მინდა მისი დანახვა!..”

ამის გაგონებაზე ფოტიფარი ძალიან გაბრაზდა. მან დაუჯერა თავის მატყუარა ცოლს და იოსები ციხეში ჩასვა.

იოსებმა ციხეშიც დიდი პატივი დაიმსახურა და ციხის უფროსმა იგი თავის თანაშემწედ დანიშნა.

იოსებთან ერთად ციხეში უარაონის ორი მინისტრი იმყოფებოდა. ერთი — ფარაონის პირადი პურისმცხობელი, მეორე — მეღვინეთუხუცესი. საკმაოდ დიდი ხანი გაატარეს მინისტრებმა ციხეში. ერთ დამეს ორივე მინისტრმა ნახა სიზმარი, მაგრამ ვერცერთმა ვერ გაიგო, რისი მომასწავებელი იყო ეს და ძალიან შეწუხებულნი იყვნენ. დიდით დაინახა იოსებმა, რომ ორივე მინისტრი დაღონებული იყო.

— რატომ ხართ ასე მოწყენილები? — ჰკითხა იოსებმა.  
— სიზმარი ვნახეთ, — უპასუხა ორივემ ერთად, — არ ვიცით რისი ნიშანია ეს, ცუდის თუ კარგის?..

იოსები დაინტერესდა სიზმრებით და სთხოვა მოეყოლათ მის-თვის, რაც ნახეს. მეღვინეთუხუცესმა უამბო იოსებს:



— სიზმარში ვნახე ვაზი. ვაზზე  
სამი მტევანი ეკიდა. თითოეულ  
მტევანს უამრავი ლამაზი და  
ტკბილი ყურძნის მარცვალი  
ესხა. მე ყურძნის წვენი ჩავწურე  
დიდ ჭიქაში და მეფეს მივართ-  
ვი.

— “სამი მტევანი სამ დღეზე  
მიანიშნებს. სამი დღის შემ-  
დეგ შენ დაგაბრუნებენ შენ-  
სავე თანამდებობაზე” — მიუგო  
იოსებმა.





ახლა მთავარმა მცხობელმა უამბო  
იოსებს თავისი სიზმარი:

— სიზმარში სამი ერთმანეთში ჩადებული  
კალათა მედო თავზე. ზედა კალათა სავსე  
იყო ისეთი პურით, მე რომ მეფეს ვუცხობ-  
დი. უცებ მოფრინდა დიდი ჩიტი და შეჭამა  
პური.

იოსებმა შეხედა მცხობელს და უთხრა:

— სამი კალათა სამ დღეს ნიშნავს. სამი  
დღის შემდეგ მეფე შენს სიკვდილით  
დასჯას გადაწყვეტსო — უპასუხა იოსებმა.

სამი დღის შემდეგ, მართლაც ისე  
მოხდა, როგორც იოსებმა უწინასწარ-  
მეტყველა მინისტრებს. მეღვინეობის  
მინისტრი დაუბრუნდა თავის სამუშაო  
ადგილს, მცხობელი მინისტრი კი სიკვ-  
დილით დასაჯეს.



## მიკრო

გავიდა დრო. ერთხელ ეგვიპტის მეფეს დაესიზმრა: „დგას ფარაონი მდინარე ნიღოსის პირას. უცებ წყლიდან შვიდი კარგად ჩასუქებული ძროხა ამოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ შვიდი ძროხა ამოვიდა წყლიდან, მაგრამ ამჟამად ძროხები მეტად გამხდრები იყვნენ. ისინი მიუახლოვდნენ დიდსა და მსუქან ძროხებს და.. ჰო! საოცრებავ! გამხდარმა ძროხებმა გადასანსლეს მსუქანი და დიდი ძროხები, მაგრამ ისევე გამხდრები დარჩნენ.

— რა საოცარი სიზმარია?.. — გაიფიქრა გამოდვიძებულმა ფარაონმა და კვლავ გააგრძელა ძილი.

ახლა კი მეორე სიზმარი დაესიზმრა. ფარაონმა ნახა პურის შვიდი თავთავი. თავთავები დიდი და კარგად მომწიფებული იყო. მათ უკან ამდენივე თავთავი, მაგრამ უფრო პატარები და ცარიელი ამოსულიყო. უცებ პატარა თავთავებმა შთანთქეს დიდი, მომწიფებული თავთავები და მაინც ისევ პატარები და ცარიელები დარჩნენ.

— რა უცნაურ სიზმრებს ვხედავ?.. — გაიფიქრა ფარაონმა, — ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ფარაონს ძალიან აინტერესებდა სიზმრების ახსნა. ბევრი იფიქრა როცა ვერაფერი მოიფიქრა, მოიწვია სამეფოში ყველა ბრძენი და ქურუმი, მოუყვა მათ თავისი სიზმრები და სთხოვა აესნათ მისთვის, თუ რას ნიშნავდა ეს. მაგრამ ეგვიპტის ვერცერთმა ბრძენმა ვერ აუხსნა სიზმარი. მათ არ იცოდნენ რა ეთ-ქვათ. უეცრად მეღვინე - მინისტრს გაახსენდა ციხეში გატარებული დღეები, იქ ნანახი სიზმარი და იოსები, რომელმაც სიზმარი აუხსნა. ეახლა მინისტრი ფარაონს და უთხრა:



54

Horath

— დიდო ფარაონო! როდესაც ციხეში ვისხედით მე და მცხობელი მინისტრი, ჩვენც ვნახეთ საოცარი სიზმარი და ვიცოდით, რას ნიშნავდა. ჩვენთან ერთად იჯდა ერთი ებრაული ყმაწვილი, სახელად იოსები. მან აგვისნა სიზმარითა ზუსტად ახდა ყველაფერი. მე მართლაც ჭამათავისუფლე და ჩემს თანამდებობაზე დამაპრუნე. მცხობელი - მინისტრი კი სიკვდილით დასაჯე. იქნებ ახლაც შეძლოს იოსებმა თქვენი სიზმრის ახსნა?...

ფარაონს მოეწონა მინისტრის რჩევა და ბრძანა, სასწრაფოდ გამოეყვანათ იოსები ციხიდან და მასთან მიეყვანათ.

— იოსებ, გავიგე სიზმრების ახსნა შეგძლებია. მე ორი სიზმარი დამესიზმრა და ვერავინ შეძლო მისი ახსნა. იქნებ, შენ ამისსნა ჩემი სიზმრები - მიმართა ფარაონმა იოსებს და მოუყვა ნანახი სიზმრები.

— ღმ-რთმა გაფრთხილება მოგცათ, — უპასუხა იოსებმა — შვიდი ჩასუქებული და დიდი ძროხა, ასევე შვიდი დახუნდლული თავთავი იმის ნიშანია, რომ მომავალი შვიდი წელი კარგი მოსავლიანი იქნება შენთვის და შენი ქვეყნისათვის. გექნება ბევრი საკვები და სხვა სიუხვე. ხოლო შვიდი გამხდარი ძროხა და შვიდი ცარიელი თავთავი იმის ნიშანია, რომ მომდევნო შვიდი წელი იქნება მოსავლის გარეშე. არ მოვა ხორბალი, ბოსტნეული და არც ხილი. შიმშილი იქნება მთელს ქვეყანაზე.

ამავე დროს, იოსებმა რჩევა მისცა ფარაონს:

— შვიდი მოსავლიანი წლის განმავლობაში გაავსე საწყობები და ბელლები ხორბლით, საჭმლით და შემოინახე მომდევნო შვიდი წლისათვის.

ფარაონს ძალიან მოეწონა იოსების ახსნილი სიზმარი და მისი რჩევა-დარიგება. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ასეთი ჭკვიანი და ბრძენი ადამიანი იდგა მის წინაშე:

— შენ ჰევითი გაცი ხარ! — უთხრა ფარაონმა იოსებს, — ამიტომ ჩემს რწმუნებულად დაგნომნავ და მოიქეცი ისე, როგორც შენ ჩათვლი საჭიროდ!

ფარაონის ბრძანებით იოსები ძვირვასი სამოსით შემოსეს, ჩასვეს ძვირვას ეტლში, დიდი პატივით გაატარეს სამეფოში და მთელს ეგვიპტეს შეატყობინეს, რომ მან იოსებს ფარაონის რწმუნებულის წოდება მისცა.

— გაუმარჯოს იოსებს, ფარაონის რწმუნებულს! — გაჰყვიროდა ხალხი და საჩუქრებს უძღვნიდა ეტლში მჯდარ იოსებს.


მეორე დღიდანვე შეუდგა იოსები საქმეს. იგი ყველაფერს აკეთებდა, რათა გადაერჩინა ეგვიპტე მომავალი შვიდწლიანი შიმშილობისაგან.

ეგვიპტეში იოსებმა ცოლი შეირთო და ორი ვაჟი — მენაშე და ეფრაიმი შეეძინა. გავიდა შვიდი წელი. მთელს ქვეყანაში შიმშილის პერიოდი დადგა. იოსების წყალობით მხოლოდ ეგვიპტეში იყო საჭმელი. სხვა სამეფოდან მოდიოდა ხალხი ეგვიპტეში საკვების შესაძენად. შიმშილის წლები ისრაელშიც დაიწყო. იაკობმა მოიხმო თავისი შვილები და უთხრა:

— გავიგე, ეგვიპტეში უხვად არის საჭმელი. წადით და იყიდეთ რაც კი შეგიძლიათ.

იოსების ძმები მაშინვე დაადგნენ ეგვიპტისაკენ მიმავალ გზას საკვების შესაძენად.





მმები ჩავიდნენ ეგვიპტეში და მივიდნენ იოსებთან. ძმებმა ვერ იცნეს იგი. ახლა მათ წინაშე წვერით დამშვენებული და ძვირფას სამოსში გამოწყობილი ეგვიპტის ფარაონის რწმუნებული იდგა.

— რწმუნებულო, — მიმართეს ძმებმა, — ჩვენ ჩამოვედით ისრაელიდან, რადგანაც იქ შიმშილია.

## ჭადგებში


იოსებმა მაშინვე იცნო თავისი ძმები. მას უნდოდა ეთქვა მათთვის, რომ იგი მათი ძმაა, რომელიც მათივე დაუდევრობით მონობაში მოხვდა. მაგრამ იოსებს არ სურდა შეერცხევინა ისინი. ამიტომ მან სთხოვა ყველა ეგვიპტელს გარეთ გასულიყვნენ, თვითონ კი ძმებთან დარჩა. იოსებმა სთხოვა ძმებს მასთან ახლოს მისულიყვნენ.

— ”მე თქვენი ძმა ვარ, იოსები. მამაჩემი, იაკობი, ცოცხალია? “— იკითხა მან. შეერცხენილ ძმებს შეეშინდათ იოსებთან მიახლოება: “ასე უმოწყალოდ რომ მოვექეცით და გავყიდეთ იგი იქნებ, შურისძიება მოინდომოს და დაგვაპატიმროს,” — გაიფიქრეს ძმებმა. იოსებმა ეს შეამჩნია და სიმშვიდითა და სიყვარულით მიმართა მათ:

— ნუ გეშინიათ! ყველაფერი სასიკეთოდ მოხდა. ღმ-რთის ნება იყო, რომ ეგვიპტეში მოვხვდი. ახლა შემიძლია, ისევ ღმ-რთის დახმარებით, შიმშილისაგან გიხსნათ. ძმებო, იჩქარეთ და რაც შეიძლება სწრაფად ჩამოიყვანეთ მამაჩემი ეგვიპტეში. თქვენც ოჯახებთან ერთად ჩამოდით აქ. გპირდებით, რომ ღმ-რთის დახმარებით არაფერი მოგაკლდებათ!..

იოსებმა ძმებს ლამაზი პერანგები მიართვა. მისცა ეტლები, საჭმლითა და თივით დატვირთული ურმები, ცხენები და დიდი პატივით გაისტუმრა.

გახარებული ძმები დაბრუნდნენ ისრაელში. მათ დიდი ხნის წინ მონანიეს თავისი საქციელი.



ბევრს ფიქრობდნენ ძმები, როგორ ეთქვათ მამისთვის, რომ იოსები ცოცხალია. მათ იცოდნენ, რომ იაკობი ძალიან განიცდიდა იოსების დაკარგვას. ისინი მოულოდნელ სიხარულშიც ხიფათს ხედავდნენ.





60

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, დაუძახეს აშერის ასულს, რომელ-საც სახელად სერანი ერქვა. მან არფაზე დაკვრა და სიმღერა იცოდა.

- წადი და უამბე იაკობს, რომ მისი შვილი იოსები ცოცხალია!
- სოხოვეს ძმებმა.

წავიდა სერანი იაკობთან. მან არფაზე დაკვრა და სიმღერა დაიწყო. იგი მდეროდა, რომ იოსები ცოცხალია, რომ ის ეგვიპტეში ფარაონის რწმუნებულია. მას ორი ვაჟი — მენაშე და ეფრაიმი ჰყავს. სერანი მდეროდა მანამ, სანამ იაკობმა არ გაიგო სიმღერის სიტყვები. გახარებულმა იაკობმა შესძახა: „იოსები ცოცხალია, ის ეგვიპტეშია და მე ვნახავ მას!“

იაკობი მთელი თავისი ოჯახით, შვილებითა და შვილიშვილებით იოსების გამოგზავნილი ეტლით გაემგზავრა ეგვიპტეში. როდესაც იოსებმა შეიტყო მამის ეგვიპტეში ჩამოსვლის ამბავი, სიხარულით გაეშურა იაკობთან შესახვედრად. როცა იოსებმა მოახლოვებული ეტლი დაინახა, სასწრაფოდ მიეგება მამას და ცრემლმორეული გადაეხვია. იაკობი მადლობას უხდიდა ლმ-რთს, რომ საკუთარ შვილს შეახვედრა. იგი

მთელი თავისი დიდი ოჯახით დასახლდა ეგვიპტის ქალაქ გოშენში. იოსებმა ყველაფერი მისცა მათ, რაც კი სჭირდებოდათ: სახლი, ცხვარი, თხები და ზრუნავდა მათზე, რომ არაფერი მოკლებოდათ. იაკობი მშვიდად ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად. ასწავლიდა თავის შვილებს და შვილიშვილებს თორას და მათთან ყოფნით ტაბებოდა.

## ვარსი

იაკობი თავისი ოჯახით ცხოვრობდა ეგვიპტის ქალაქ გოშენში. გავიდა დრო. იგი მოხუცდა და ძლიერ დასუსტდა. იაკობი გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას. კეთილ იოსებს სურდა, რომ მამამისს, იაკობს ეკურთხებინა მისი ორი ვაჟი – მენაშე და ეფრაიმი. იგი თავის ვაჟებთან

ერთად მამას ესტუმრა.

იაკობს გაუხარდა იოსებისა და შვილიშვილების სტუმრობა. მან მენაშე და ეფრაიმი თავისთან იხმო, რათა ეკურთხებინა ისინი. მარჯვენა ხელი იოსების უმცროს ვაჟს – ეფრაიმს დაადო **თავზე**, მარცხენა

კი უფროსს – მენაშეს.

— მამა, — უთხრა იოსებმა იაკობს, — მენაშეა ჩემი უფროსი ვაჟი. მარჯვენა ხელი მას დაადე.

— “მე ვიცი, რომ მენაშე უფროსია. მრავალი წლის შემდეგ ეფრაიმს ეყოლება კეთილი და გონიერი შვილი-შვილი და სწორედ ამიტომ მივიღე ეს გადაწყვეტილება.”

დალოცა და აკურთხა იაკობმა მენაშე და ეფრაიმი. შემდეგ თავის ვაჟებს უხმო და ისინიც დალოცა. ამის შემდეგ დაწვა, დახუჭა თვალები და სული ზეცას მიაბარა.

იაკობის შვილებთან ერთად ტიროდნენ ეგვიპტელებიც. დიდი პატივით გააცილეს იაკობი ისრაელში, სადაც დიდებით დაკრძალეს. იოსებმა მოიხსნა გვირგვინი და იაკობის საწოლზე დადო. იხილეს ეს დიდმა მეფეებმა და პატივისცემის ნიშნად თავიანთი გვირგვინებიც იოსების გვირგვინს გვერდით დაუდეს. ტიროდნენ იაკობის შვილები. გლოვა იდგა მთელს ეგვიპტეში.